# ქართულ-ამერიკული საერთაშორისო კოლა პროგრესი

## ლაბორატორიის გამოყენების წესი

## (დებულება)

**2023-2024 წელი**

## ლაბორატორიის გამოყენების წესი

### მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს შპს.ქართულ-ამერიკული საერთაშორისო კოლა პროგრესი (შემდგომში „სკოლა“) სარგებლობაში არსებული ლაბორატორიებით სარგებლობის წესს;

2. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (შემდგომში „IT“) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები ხელს უწყობენ სკოლაში საგაკვეთილო, საინფორმაციო და ექსპერიმენტული მუშაობის ორგანიზებას, ქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს და ამაღლებენ სასწავლო პროცესის აკადემიურ დონესა და მოსწავლეთა მოტივაციას.

### მუხლი 2. ლაბორატორიით სარგებლობის მიზნები და ამოცანები

1. ლაბორატორიების ძირითადი მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება.
2. ლაბორატორიით სარგებლობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
   - ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში, ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში მოსწავლეებისთვის ხელის შეწყობა.
   - მოსწავლეების მონაწილეობით პრობლემური, საინტერესო საკითხების განხილვა;
   - მოსწავლეთა პრაქტიკული უნარებისა და თეორიული ცოდნის განვითარებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება;
   - მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება; აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა;

### მუხლი 3. ძირითადი პრინციპები და ფუნქციები

1. ლაბორატორიით სარგებლობის ძირითადი პრინციპებია:
   - მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა;
   - უსაფრთხო სასწავლო გარემოს დაცვა;
2. სკოლის ლაბორატორიით სარგებლობა თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი სკოლის ყველა მოსწავლისათვის.

### მუხლი 4. ლაბორატორიაში არსებული სასკოლო ინვენტარის დაზიანება

1. დაუშვებელია ლაბორატორიაში არსებული ინვენტარის დაზიანება;
2. დაუშვებელია ლაბორატორიაში არსებული ინვენტარის ლაბორატორიიდან გატანა პასუხისმგებელი პირის ნებართვის გარეშე;
3. დაუშვებელია, მასწავლებლის გარეშე, უნებართვოდ, მოსწავლის მიერ ლაბორატორიით სარგებლობა.

### მუხლი 5. სკოლის ლაბორატორია

სკოლას აქვს შემდეგი სახის ლაბორატორიები:

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია;
- IT ლაბორატორია.

## ლაბორატორიის გამოყენების წესი

### მუხლი 6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების აღჭურვილობა

1. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის და საერთო დანიშნულების) ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკური მოწყობილობით.
2. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში წარმოდგენილია:
   - ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები: ფიზიკური მოვლენის ამსახველი თვალსაჩინოებები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში, ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში.
   - ქიმიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები.
   - ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებით. მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ მიკროსკოპით, ჩაატარონ სხვადასხვა ექსპერიმენტები.

### მუხლი 7. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობის უსაფრთხოების ზოგადი წესები

1. ლაბორატორიის მომხმარებელი ვალდებულია გამოიყენოს სათანადო აღჭურვილობა მისი მოხმარების აღწერილობის მიხედვით.
2. გაკვეთილის მიმდინარეობისას ლაბორატორიის კარი უნდა დაიხუროს.
3. ექსპერიმენტის, ცდის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მასწავლებლის მიერ ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მიღების შემდეგ.
4. ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მისაღებად, მოსწავლე მასწავლებლისგან უნდა გაეცნოს ლაბორატორიული ამოცანის აღწერას და მისი შესრულების უსაფრთხო წესებს.
5. ყოველი ცდის ჩატარების დროს უნდა იქნას გამოყენებული ერთჯერდი ხელთათმანები. ხელთათმანების გადაყრა უნდა მოხდეს ცდის დასრულებისთანავე ლაბორატორიაში განთავსებულ სანაგვე ურნაში.
6. დაუშვებელია ცდის ჩატარება დამცავი სათვალის გარეშე. ქიმიური ცდის ჩატარების შემთხვევაში, საჭიროებისამებრ უნდა ჩაირთოს გამწოვი.
7. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელმა/მოსწავლემ ხელსაწყო უნდა გამორთოს და სამუშაო ადგილი, ლაბორატორია უნდა მოაწესრიგოს.
8. დაუშვებელია ელექტრულ ხელსაწყოებთან მუშაობა სველი ხელით. დიდი ტევადობის კონდენსატორებთან მუშაობისას აუცილებელია ინდივიდუალური უსაფრთხოების საშუალებების გამოყენება – დამცავი ხელთათმანი, სათვალე და ა.შ.
9. დაუშვებელია ელექტრო ხელსაწყოების არაიზოლირებულ მომჭერებთან დაუცველი ხელის შეხება.
10. თხევადი და მყარი სხეულების გახურებისას დაუშვებელია ჭურჭელში ზემოდან ჩახედვა.
11. დაუშვებელია ლაზერის სხივის ან მისი ანარეკლის მიმართვა თვალში, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს თვალის დაზიანება და მხედველობის დაკარგვაც კი.
12. დაუშვებელია ცდის ჩატარების დროს მოსწავლის ან/და მასწავლებლის მიერ ცდისათვის საჭირო მასალის თვალებთან ან პირთან ახლოს მიტანა.
13. ყოველი ცდის ჩატარების შემდეგ საჭიროა გამოყენებული ჭურჭლის გარეცხვა.
14. დაუშვებელია სპირტქურასთან ახლოს ადვილად აალებადი სხეულების (მაგ.ქაღალდი) განთავსება.

15. დაუშვებელია ცდის მსვლელობისას გაცხელებული ჭურჭლის შენახვა მის გაცივებამდე.
16. აუცილებელია მოხდეს თითოეული ინციდენტის ადეკვატური შეფასება, დაწესდეს ზედამხედველობა.
17. ცდის ჩატარებისას, თუ რომელიმე ნივთიერება შემთხვევით კანზე მოხვდება მოსწავლეს ან/და მასწავლებელს, აუცილებლად უნდა მოხდეს საპნიანი წყლით დამუშავება და სკოლის ექიმთან/ექთანთან კონსულტაციის გავლა.
18. ლაბორატორიაში დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები.
19. მინის საგნების გატეხვის შემთხვევაში აუცილებელია სასწრაფოდ გასუფთავდეს ლაბორატორია მინის ნარჩენებისაგან.
20. სამუშაო ზონაში აკრძალულია საკვებისა და სასმელის მიღება, პირადი ნივთების შენახვა.
21. ლაბორატორია უნდა იყოს სუფთა და მოწესრიგებული. დაუშვებელია ცდის ჩატარების დროს მაგიდაზე განთავსებული იყოს სხვა სახის ნივთიერებები, რომელიც ცდისათვის არ გამოიყენება.
22. სამუშაოს შესრულების შემდეგ ლაბორატორიიდან გასვლის წინ მოსწავლე ვალდებულია დაიბანოს ხელი.
23. ლაბორატორიის კაბინეტთან ახლოს თვალაჩინო ადგილს უნდა იყოს განთავსებული ხანძარ-საწინააღმდეგო საშუალებები.
24. ინფორმაცია უბედური შემთხვევის ან აშკარა პოტენციური დაზიანების/საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სკოლის დირექტორს ან/და უსაფრთხოების მანდატურს ან/და უსაფრთხოების სპეციალისტს პასუხისმგებელ პირს.
25. ლაბორატორიაში აღჭურვილობის დაზიანების შემთხვევაში მშობელი ვალდებულია სკოლას აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს გამოწვეულია ექსპერიმენტის(ცდის) ჩატარებისას.

## მუხლი 8. IT ლაბორატორიის აღჭურვილობა

1. IT ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. აგრეთვე, სკოლის თანამშრომელთა მიერ მათი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის.
2. IT ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. ის გამიზნულია საგაკვეთილო, სადემონსტრაციო და საგამოცდო მიზნებისთვის.
3. კომპიუტერით სარგებლობისას დაშვებულია:
ა) ტექსტის შეყვანა და რედაქტირება;
ბ) ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა;
გ) ლიტერატურაზე მუშაობა ელექტრონული ვერსიებით;
დ) ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;
ე) სასწავლო პროგრამებზე მუშაობა;
ვ) უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით დისკების გამოყენება;

ზ) სკოლის ვებ-გვერდით სარგებლობა.
4. კომპიუტერთან მუშაობისას აკრძალულია:
ა) კომპიუტერში რაიმე პროგრამული ფაილის ჩაწერა და წაშლა;
ბ) კომპიუტერის გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის;
გ) კომპიუტერის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში ხარვეზის თვითნებური გასწორება.
5. კომპიუტერის დაზიანების შემთხვევაში მშობელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, თუ იგი გამოწვეულია მოსწავლის დაუდევრობით ან განზრახ ქმედებით.

**მუხლი 9. სკოლის ლაბორატორიის ხელმძღვანელი**

1. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას ხელმძღვანელობს სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნობრივი კათედრის თავმჯდომარე, ხოლო კომპიუტერულ ლაბორატორიებს ისტ-ის მასწავლებელს, რომლებიც ვალდებულია წინამდებარე წესი გააცნოს ლაბორატორიის თითოეულ მომხმარებელს.

2. ლაბორატორიის ხელმძღვანელის ფუნქციებია:
ა) უზრუნველყოს სკოლის ლაბორატორიის მოვლა-პატრონობა და დაიცვას უსაფრთხოების წესები;
ბ) დაეხმაროს მასწავლებლებს გაკვეთილის მსვლელობისას ლაბორატორიული სამუშაოებისა და ცდების მომზადება-ჩატარებაში;
გ) კომპეტენციის ფარგლებში თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს სკოლაში სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესების, ლაბორატორიული კვლევების ნორმალურად წარმართვას;
დ) კოორდინირებული სასწავლო პროცესის დანერგვისა და განხორციელების მიზნით განახორციელოს ლაბორატორიის კონტროლი. საგაკვეთილო ცხრილის გათვალისწინებით და მასწავლებლებთან შეთანხმებით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ლაბორატორიაში მუშაობის გრაფიკი, დაგეგმოს სასწავლო-ლაბორატორიული სამუშაოები;
ე) მასწავლებლებთან შეთანხმებით უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო და IT ლაბორატორიის მომზადება ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად;
ვ) დახმარება გაუწიოს საგნის მასწავლებელს ლაბორატორიაში გაკვეთილის, ექსპერიმენტის ჩატარების დროს;
ზ) კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს დირექტორის სხვა დავალებები.

**მუხლი 10. მოსწავლის/მასწავლებლის პასუხისმგებლობა**
1. მასწავლებელი/მოსწავლე ვალდებულია დაიცვას ლაბორატორიით სარგებლობის წესები;
2.განსაკუთრებული დარღვევისათვის მასწავლებელს/მოსწავლეს შეიძლება დაეკისროს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა.

**მუხლი 11. ლაბორატორიით სარგებლობის წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა**
1. სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.
2. სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.

# ლაბორატორიის გამოყენების წესი